

დაჯგუფებული საჩივრები და მრავალი მომჩივანი

თუკი მომჩივანი ან წარმომადგენელი საჩივარს წარმოადგენს ორი ან მეტი მომჩივნის სახელით და თუკი ეს საჩივრები ეფუძნებიან სხვადასხვა ფაქტებს, მაშინ ცალ-ცალკე საჩივრის ფორმა, სათანადო ინფორმაციასთან ერთად, უნდა იქნას წარმოდგენილი ყოველი ინდივიდის მიერ. ყოველი საჩივრისათვის შესაბამისი დოკუმენტები თან უნდა ახლდეს ინდივიდის საჩივრის ფორმას.

როდესაც სახეზეა 10 მეტი მომჩივანი, წარმომადგენელმა საჩივრის ფორმასა და დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ცხრილი, რომელშიც ის მიუთითებს დეტალებს თითოეული მომჩივნის შესახებ.

■ Table

თუ წარმომადგენელი ადვოკატი გახლავთ, მოცემული ცხრილი ელექტრო ფორმითაც უნდა იქნას წარმოდგენილი (დისკზე ან გარე მეხსიერების დახმარებით/USB).

მომჩივანთა დიდი ჯგუფებისა თუ საჩივრების შემთხვევაში, მომჩივნებს და/ან მათ წარმომადგენლებს სამდივნომ შესაძლოა მოთხოვოს საჩივრებისა თუ დოკუმენტების წარმოდგენა ელექტრონულად ან სხვა ფორმით. სამდივნომ შესაძლოა მიუთითოს სხვა ზომების შესახებ, რომელთა დახმარებითაც საჩივრების დამუშავება უფრო ეფექტიანი და სწრაფი იქნება.

დაჯგუფებული საჩივრების ან მრავალი მომჩივნის მიერ საჩივრების წარმოდგენისას, სამდივნოს მიერ მოწოდებული მითითებების დაუცველობამ შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოსათვის განსახილველად საქმეების არ გადაგზავნა (იხ. რეგლამენტის 47 § 5.2 მუხლი).

